განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2027 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2027 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2027-2030 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2027 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2027 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8,9 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155^1 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6^1-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2027 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 50.676,500 ლარს შეადგენს. 2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2027 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 4.828.500 ლარით (11%-ით).

2027 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 43.276.500 ლარით;

  2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 9,9%-ით (3.928.500 ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;დამატებული ღირებულების გადასახადის საკასო შემ,ოსავლის მიხედვით სესაზღებელია კორექტირებაც. ***(საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მ/წლის 9 ნოემბრის წერილი N04-03/84928)***

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 7.400.000 ლარს;

  2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 13.8%-ით (900.000 ლარით) იზრდება.

2027 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 47.053.600 ლარამდე, მათ შორის:

  - ✓ სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 47.053.600 ლარი;

    მათ შორის: მიმდინარე დანიშნულების გრანტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან:--- 17.340.600 ლარი;

    მათ შორის: კაპიტალური დანიშნულების გრანტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან:--- 29.713.000 ლარი;

  2026 წლის შესაბამისის პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან მიმარტებაში გრანტები იდენტური ოდენობით განისაზღვრა.

- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 9.795.800 ლარის ოდენობით, მათ შორის:**

  - ✓ პროცენტები 210.600 ლარი.

    2026 წლის შესაბამისის პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 28,7%-ით (60.600 ლარით) იზრდება.

  - ✓ რენტა 1.160.000 ლარი;

    2026 წლის შესაბამისის პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტულად 28,6%-ით (258.000 ლარით) იზრდება. გამოწვეულია როგორც

ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის ზრდით ვინაიდან, ბუნებრივი რესურების მოპოვებაზე გაცემულია მეტი ლიცენზია ასევე შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან სახეში ზრდით.

- **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 1.500.000 ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ სანებართვო მოსაკრებლები 1.000.000 ლარი;
  - ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 450.000 ლარი;
  - ✓ შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 50.000 ლარი;

2026 წლის შესაბამისის პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტულად 17%-ით (220.000 ლარით) იზრდება. ზრდა გამოწვეულია მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე წლის განმავლობაში ფაქტიურად შემოსული თანხების მაღალი მაჩვენებლიდან გამომდინარე.

- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 6.250.000 ლარის** ოდენობით,ფაქტიურად წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიღების გათვალისწინებით ზრდა შეადგენს 2.750.000 ლარს;
- **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 675.200 ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 675.200ლარი;

- **ფინანსური აქტივების კლების** მაჩვენებელი განისაზღვრება 2.234.600 ლარის ოდენობით;

ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 776.848 ლარის ოდენობით, შესაბამისად მთლიანი სალდო (-1.457.752) ლარს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

2027 წლის მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 109.760.500 ლარს (2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცებულ თავდაპირველ გეგმასთან შედარებით იზრდება 8.310.700 ლარით. 8,2%).

2027 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია **1**)პროგრამული ბიუჯეტის სხვადასხვა სფეროებში ადგილობრივი მნიშვნელობის პრიორიტეტული პროგრამების, მიმდინარე და კაპიტალური შინაარსიის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსებებისათვის განკუთვნილი ასიგნებები. 2)მუნიციპალიტეტის ყველა დაქვემდებარებულ დაწესებულებებში დასაქმებულ თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთების 8,4% იანი ზრდით 2027 წლის 01 იანვრიდან . 3)როგორც მუნიციპალიტეტის მერიაში ,ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2027 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად საჯარო მოხელეთა საბაზო თანამდებობრივი სარგოს 1735 ლარით განსაზღვრით ნაცვლად 1600 ლარისა. (8,4%) ზრდა (2027წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმებისა და საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომისანაზღაურების შესახებ“შესაბამისად.)

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება - 44.483.482 ლარი; მათ შორის:**

2026 წლის შესაბამისის პერიოდის პრიორიტეტის ბიუჯეტთან მიმართებაში მზარდია 3.614.784 ლარით;(ზრდა 8,8%).

- ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარება - 19.307.174 ლარი;

2027 წელშიც გაგრძელდება გაზრდილი ბიუჯეტური ხარჯებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებში გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები. როგორც წინა წლებში ასევე მომავალი წლისათვის დაგეგმილია მდინარეების შესართავთან ტერიტორიის მოსაწესრიგებლად სამუშაოები ანუ იქნება გასწორხაზოვნებული მდინარეებს კალაპოტი.გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება და გაფართოებული გარე განათების ქსელი კვლავ არის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი , რისთვისაც გათვალისწინებულია გარე განათების (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები, შენობა-ნაგებობები) წერტების მოვლა-ექსპლუატაცია და მოხმარებული ელ. ენერგიის საფასურის დაფარვა; დაგეგმილია დამატებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათების მოწყობის სამუშაოები და ელ. ენერგიის ქსელში ჩართვა. სტიქიური მოვლენებისგან მოსახლეობის დაცვა მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისათვის, რისთვისაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უხვი ნალექის შედეგად გააქტიურებული მეწყრული პროცესებით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციის მიზნით კვლავ გაგრძელდება ფერდსამაგრი სამუშოების ჩატარება.

განხორციელედება შემდეგი ღონისძიებები/ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:

- ❖ ქ. ქობულეთში გზებზე ასფალტის საფარის ორმული შეკეთება --200.000 ლარი;
- ❖ საგზაო მონიშვნები --100.000 ლარი;
- ❖ ქ. ქობულეთში, თბილისის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები 353.272 ლარი; (გარდამავალი პროექტი 2026-2027 წწ)
- ❖ ვიდეო-კამერების ექსპლოატაცია ---500.000 ლარი;
- ❖ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა - 3.500.000 ლარი;
- ❖ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერისა და საგზაო ნიშნების მოწყობა --100.000 ლარი;
- ❖ ქ.ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი N530-ის მიმდებარედ გადასასვლელის კეთილმოწყობა --230.572 ლარი;
- ❖ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სოფელი ზენითი, მეურნეობის მიმართულებით) გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ---545.500 ლარი; (გარდამავალი 2026-2027 წლის პროექტი.პროექტის ღირებულება განისაზღვრება 777.773 ლარით.)
- ❖ ვიდეოკამერების შეძენა/მონტაჟი --1.124.420 ლარი;
- ❖ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მდინარეების კალაპოტის გასწორხაზოვნება ---100.000 ლარი;
- ❖ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურეობა ---3.253.360 ლარი;
- ❖ გარე განათების ღონისძიებები -- 4.300.000 ლარი.

მათ შორის: გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია -2.300.000ლარი;

მათ შორის: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათების მოწყობა 2.000.000.ლარი;

- ❖ ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების- სამუშაოები დაგეგმილია 5.000.000 ლარით.

- ✓ **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციაზე მიმართულია ჯამურად 14.002.813 ლარი;**

განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები/ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:

- **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების** ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 1.046.810 ლარი;

მათ შორის: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს/სკვერის მოწყობის სამუშაოები --750.000 ლარი;(გარდამავალი პროექტი 2026-2027 - დაბა ჩაქვი, წერეთლის ქ. N5-ში (დევნილთა დასახლება) ეზო);

მათ შორის: ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N-166ა-ს მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზო/სკვერის კეთილმოწყობა --296.810 ლარი;

- **წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია - 8.956.631** ლარი;

მათ შორის: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების ქსელის მოწყობა და სასმელი წყლის მოწყობა/რეაბილიტაცია --2.400.000 ლარი;(გარდამავალი პროექტი 2026-2027 წწ)

მათ შორის: ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა --459.940 ლარი;

მათ შორის: ქობულეთის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა-163.091 ლარი;

მათ შორის: ქობულეთში წყალარინების სატუმბი სადგურებისათვის ტუმბოების შეძენა/მონტაჟი-- 441.000 ლარი;

მათ შორის: ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩიდან (ბაზრის წრიულიდან) თავისუფლების ქუჩის N-23-ვ მდე წყალარინების მაგისტრალის რეაბილიტაცია --400.000 ლარი; (გარდამავალი 2026-2027 წლის პროექტი.პროექტის ღირებულება განისაზღვრება 1.850.356 ლარით.)

მათ შორის: შპს "ქობულეთის წყალი" სუბსიდირება გათვალისწინებულია 1.941.700 ლარით;

მათ შორის: ა(ა)იპ "ქობულეთის სოფლის წყალი " სუბსიდირება გათვალისწინებულია 3.150.900 ლარით;

- **სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და მოვლა - შენახვა - 3.692.072** ლარი;

მათ შორის: ქალაქ ქობულეთში, ფიჭვნარის საკანალიზაციო მაგისტრალური ხაზის მოწყობა--1.759.172 ლარი;

მათ შორის: ქ. ქობულეთში, თავისუფლების ქუჩაზე N25-დან N67-მდე წყალარინების სისტემის მოწყობა --1.618.860 ლარი;

მათ შორის: სანიაღვრე მილების შეძენა -50.000 ლარი;

მათ შორის: ქ. ქობულეთში, ჩხეიძის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობა ---264.040 ლარი; (გარდამავალი პროექტი 2026-2027 წწ)

- **უკანონო მიშენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი** --- 50.000 ლარი;
- **შპს ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგური** -- 257.300 ლარი;

✓ **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებებზე მიმართულია ჯამურად 9.348.845ლარი;** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოები, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია და სხვა ღონისძიებები.

განხორციელედება შემდეგი ღონისძიებები/ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:

- ქალაქ ქობულეთში, ახალი სანაპირო ზოლის (ზღვისპირა პარკი) მოწყობა (II ეტაპი) -- 4.113.000 ლარი;(გარდამავალი 2027-2028 წ.წ. პროექტი)
- შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები ჯამურად 1.369.026 ლარი;

  მათ შორის: ქ. ქობულეთი, სანაპირო თამარ მეფე №38-დან №52-მდე ვეტერანთა კლუბის მშენებლობა სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები 184.914 ლარი;

  მათ შორის; ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირი №141-ში შენობის ფასადის კეთილმოწყობა - 1.184.112ლარი; (გარდამავალი 2026-2027 წლის პროექტი. პროექტის ღირებულება განისაზღვრება 1.434.112 ლარით.)

- საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა 450.000 ლარი;პ როგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება.
- აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი --12.000 ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა - 3.250.000 ლარი; (გარდამავალი პროექტი 2026-2027 წწ (სოფელი ხუცუბნის ცენტრი, სოფელი აჭის და დაბა ოჩხამურის ცენტრები);
- ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირი №141-ში ეზოს კეთილმოწყობა -154.819 ლარი; (გარდამავალი 2026-2027 წლის პროექტი.პროექტის ღირებულება განისაზღვრება 252.296 ლარით.)
- ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო --827.550 ლარი;
- ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალური ინსპექცია -- 997.100 ლარი;

➢ **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 10.105.770 ლარი; მათ შორის:**

- **დასუფთავება და ნარჩენების გატანა --7.556.000 ლარი .**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მათ შორის სოფლების ცენტრებშიც დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, მაწანწალა ცხოველების სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანა.(ა)აიპ ქობულეთის სანდასუფთავება)

- **გარემოს დაცვა - 2.549.770 ლარი;**

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა.

მათ შორის: ა(ა)იპ ქობულეთის გამწვანება -- 1310.600 ლარი;

მათ შორის: ა(ა)იპ ქობულეთის პარკი -- 1.239.170 ლარი;

➢ **განათლების ხელშეწყობა - 19.187.500 ლარი, მათ შორის:**

- ✓ **სკოლამდელი განათლების დაფინანსება - 19.187.500 ლარი;**

2026 წლის შესაბამისის პერიოდის პრიორიტეტის ბიუჯეტთან მიმართებაში (სადაც შედის ინფრასტრუქტურული პროეტებიც) თანხები გაზრდილია 3.900.215 ლარით (**25,5%**),ხოლო უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებაის შესაბამისის პერიოდის გეგმასთან მიმართებაში

ზრდა შეადგენს 1.743.552 ლარს(14%) რაც გამოწვეულია ხელფასებისა და სხვადადსხვა მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ზრდით/ მატებით;

მათ შორის:ა(ა)იპქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება-- 14.687.500ლარი;

მათ შორის: ქობულეთის.მუნიციპალიტეტის, სოფელ ჯიხანჯურის საბავშვო ბაღის მშენებლობა- 1.500.000 ლარი;(გარდამავალი პროექტი 2027-2028 წწ)

მათ შორის: ქობულეთის.მუნიციპალიტეტის,დაბა ჩაქვში მე-7რაიონში საბავშვო ბაღის მშენებელობა- 1.500.000 ლ. (გარდამავალი პროექტი 2027-2028 წწ)

მათ შორის :საბავშო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები -- 1.500.000

- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 8.710.600 ლარი მათ შორის:**

2026 წლის შესაბამისის პერიოდის პრიორიტეტის ბიუჯეტთან მიმართებაში მზარდია 883.974 ლარით;(ზრდა 11,2%).

- ✓ **სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 3.151.150 ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებსაც.

მათ შორის: ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა --- 1.074.200 ლარი;

მათ შორის: სპორტული ღონისძიებების დაფინანსება -- 270.000 ლარი;

მათ შორის: სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა --- 1.127.950 ლარი;

მათ შორის: რუსთაველის N174-ში სტადიონის მიმდინარე მოვლა-შენახვის ხარჯი -- 297.700 ლარი;

მათ შორის: შპს ქობულეთის სტადიონი --- 381.300 ლარი;

- ✓ **კულტურის განვითარების ხელშეწყობა --- 5.559.450 ლარი;**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მუზეუმის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურურლი ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

მათ შორის: ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება "ქობულეთის სახელოვნებო სკოლა" --1.304.000 ლარი;

მათ შორის: ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი --- 1.747.450 ლარი;

მათ შორის: გურამ თამაზაშვილის სახელობის (ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული"' --- 1.276.900 ლარი;

მათ შორის: კულტურული ღონისძიებების დაფინანსება --- 146.000 ლარი;

მათ შორის: ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა --- 125.000 ლარი;

მათ შორის: ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი --- 503.900 ლარი;

მათ შორის: წარმატებულ სტუდენტთა წახალისება -- 356.200 ლარი;

მათ შორის:ქობულეთის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება -- 100.000ლარი;

- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 15.888.892 ლარი;**

❖ **ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები - 3.886.892 ლარი;**

პროგრამები ითვალისწინებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობასა და მოსახლეობის სოციალური დაცვას. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას და მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური შეღავათებით უზრუნველყოფას ჯანმრთელობის დაცვის და შენარჩუნების მიზნით .

კერძოდ გათვალისწინებულია ჯანდაცვის სფეროს შემდეგი პროგრამები:

მათ შორის: იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარების პროგრამა **- 26.000 ლარი;**

მათ შორის: თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის დახმარებვის პროგრამა -187 200 ლარი;

მათ შორის: სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამა- 1.300.000 ლარი;

მათ შორის: ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი - 1.373.692ლარი;

მათ შორის: მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა-1.000.000 ლარი;

❖ **სოციალური დაცვის ღონისძიებები --12.002.000ლარი;**

ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

მათ შორის: ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება -- 32.000 ლარი;

მათ შორის: დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება ---15.000 ლარი;

მათ შორის: მუნიციპალური უფასო სასადილო --6000.000 ლარი;

მათ შორის: ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირება --50.000 ლარი;

მათ შორის: მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება -70.000 ლარი;

მათ შორის: მარტოხელა მშობლების მატერიალური დახმარება --190.000 ლარი;

მათ შორის: გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება -- 50.000 ლარი;

მათ შორის: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება ---100.000 ლარი;

მათ შორის:სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და ავარიულ/ამორტიზირებულ მრავალბინიან სახლებში მცხოვრები ოჯახების დახმარება -1.600.000 ლარი;

მათ შორის:“ საქმიანობათა ცენტრი ქობულეთის უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის”—40.000 ლარი;

მათ შორის: მოწყვლადი სოციალური კატეგორიების ბენეფიციართა მატერიალური დახმარება--255.000ლარი;

მათ შორის: ქ. ქობულეთში, პოპოვის ქუჩა N-12 მრავალბინიანი სოციალური სახლების მშენებლობა (ინფრასტრუქტურული პროექტი) ---9.000.000 ლარი;(გარდამავალი პროექტი)

- **მმართველობა და საერტო დანიშნულების ხარჯები - 11.384.256 ლარი, მათ შორის:**

- ✓ საკრებულოს დაფინანსება - 2.029.400 ლარი;
- ✓ მუნიციპალიტეტის მერია - 7.990.439 ლარი;
- ✓ სარეზერვო ფონდი - 300.000 ლარი;
- ✓ სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდითვის დასაფარავის თანხა და ვალის მომსახურება 889.417 ლარი; მათ შორის ძირი 776.848 ლარი და პროცენტი - 112.569 ლარი.

- ✓ ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა --50.000 ლარი;
- ✓ დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი - 120.000ლარი;
- ✓ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი -5.000 ლარი;

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ ლარი/

პროგრამული კოდი	დასახელება	2027 წლის პროექტი
	სულ ჯამი	**109.760.500**
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	11,384,256
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	10,019,839
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	2,029,400
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	7,990,439
01 02 01	სარეზერვო ფონდი	300,000
01 02 02	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურეობა და დაფარვა	889,417
01 02 03	დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი	120,000
01 02 04	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	5,000
01 02 05	ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა	50,000
02 01 01	ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა	6,653,814
02 01 03	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მდინარეების კალაპოტის გასწორხაზოვნება	100,000
02 01 04	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურეობა	3,253,360
02 01 05	გარე განათების ღონისძიებები	4,300,000
02 01 06	ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების-სამუშაოები	5,000,000
02 02 01	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები	1,046,810
02 02 02	წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპოლუატაცია	8,956,631
02 02 03	სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და მოვლა - შენახვა	3,692,072
02 02 04	უკანონო მიშენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი	50,000
02 02 05	შპს ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგური	257,300
02 03 01	სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები	4,113,000
02 03 02	შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები	1,369,026
02 03 03	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	450,000
02 03 04	აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი	12,000

პროგრამული კოდი	დასახელება	2027 წლის პროექტი
02 03 05	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა	3,250,000
02 03 17	ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირი №141-ში ეზოს კეთილმოწყობა	154,819
02 08	ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	827,550
02 09	ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალური ინსპექცია	997,100
03 01 02	ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავება	7,556,000
03 02 01	ა(ა)იპ ქობულეთის გამწვანება	1,310,600
03 02 02	ა(ა)იპ ქობულეთის პარკი	1,239,170
04 01 01	ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება	14,687,500
04 01 02	საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა	4,500,000
04 02	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება	-
05 01 01	ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა	1,074,200
05 01 02	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	270,000
05 01 03	სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა	1,127,950
05 01 04	სპორტული მოედნების მოწყობა	297,700
05 01 05	შპს ქობულეთის სტადიონი	381,300
05 02 01	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება "ქობულეთის სახელოვნებო სკოლა"	1,304,000
05 02 02	ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი	1,747,450
05 02 03	გურამ თამაზაშვილის სახელობის (ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული"'	1,276,900
05 02 04	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	146,000
05 02 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	125,000
05 02 06	ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი	503,900
05 02 07	წარმატებულ სტუდენტთა წახალისება	356,200
05 02 09	ქობულეთის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება	100,000
06 01 01	იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება	26,000
06 01 02	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის	187,200
06 01 03	სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	1,300,000
06 01 04	ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი	1,373,692
06 01 05	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	1,000,000
06 02 01	ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	32,000
06 02 02	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება	15,000

პროგრამული კოდი	დასახელება	2027 წლის პროექტი
06 02 05	მუნიციპალური უფასო სასადილო	600,000
06 02 06	ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირება	50,000
06 02 07	მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება	70,000
06 02 08	მარტოხელა მშობლების მატერიალური დახმარება	190,000
06 02 09	გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება	50,000
06 02 10	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	100,000
06 02 13	ქ. ქობულეთში, პოპოვის ქუჩა N-12 მრავალბინიანი სოციალური სახლების მშენებლობა	9,000,000
06 02 14	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და ავარიულ/ამორტიზირებულ მრავალბინიან სახლებში მცხოვრები ოჯახების დახმარება	1,600,000
06 02 15	"საქმიანობათა ცენტრი ქობულეთის უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის"	40,000
06 02 16	მოწყვლადი სოციალური კატეგორიების ბენეფიციართა მატერიალური დახმარება	255,000

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 10.607.408 ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 15.007.174 ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 11.248.072 ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 27.094.836 ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 3.886.892 ლარი;*
- *დასვენება, კულტურა და რელიგია - 7.571.570 ლარი;*
- *განათლება - 21.565.700 ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 12.002.000 ლარი;*

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2027-2030 წლები);
2. ინფორმაცია 2026 წლის 9 თვის შესრულების შესახებ;
3. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
4. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების და შპს ეების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;

ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ე) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ვ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი